

საქართველოს სოც.

საბჭ. რესაუზლიკის



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონის და განკარგულებათა პრეზული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიკური საბჭოს

სამთხვეთა მთავრობის გამოცხადა

1932 წ. ივნის 31

№ 17

ნებისმიერი კირკვე

ზ ი ნ ა რ ს ი:

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

128. „წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-12 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო საქმე.

129. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ორგებში 1910 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მორიგი გაწვევის წარმატებით ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

130. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის მასალების წარდგენის ახალი ვადების შესახებ.

სამოქალაქო სამართლი.

131. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22 მუხლის რედაქციის შეცვლისა და 22¹ მუხლის და 22 მუხლის დანართის გაუქმების შესახებ.

132. სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 44¹ მუხლის დამატების შესახებ.

შვენებლობა.

133. საბინაო, კომუნალური და სხვ. არასამრეწველო მშენებლობისათვის დანიშნული სახსრის თავის დროშე და სრულად საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკში აკუმულაციის უზრუნველყოფით და სამოქალაქო ლონისმიერათა შესახებ.

მიწა, ტემ, წყალი. სოფლის მეურნეობა.

134. „ხარისა და კამენის დაკვლის აკრძალვის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

ვაჭრობა. მომართვება.

135. ფართო მიმმარცების საქონლის მომზმარბლდამდე მიუწვდებლობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

136. ბილ-ბოსტნეულის დამზადების ცენტრალიზებული გეგმის შემცირების შესახებ.

137. ოთხფეხის საქონლისა და ხორცეულის ვაჭრობის სავტორიანო-სასამიტრო ზედამხედველობის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

138. ქალაქებასა და მუშათა დაბეჭის საბინაო ფონდის რემონტის მოწყობის შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება.

139. თურქეთი დამწერლობისათვის უნიტიცირებული ლაგანიზირებული აღფაბეტის შემოღების შესახებ.

140. „სასკოლო სადგომების გამოყენების თაობაზე“ გამოცემული სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 7-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელებისათვის საკირო ლონისმიერათა შესახებ.

სისხლის სამართლი.

141. სისხლის სამართლის კოდექსის 136¹-ა, 136¹-ბ და 136¹-გ მუხლების შეცვლის შესახებ.

სახამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

142. სასოფულო საზოგადოებრივი სასამართლოების ქვემდებარების გაფართოობისა და ამ სასამართლოების დებულების შესახებ.

სახელმწიფო ფინანსება და მგაროველობა

128. დაღვენილება ც.ა.კ. და ს.კ.ხ.

„წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-12 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ორგანიზაციის კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური ორგანიზაციის კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 10-ის დადგენილების მე-12 მუხლი (კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 340) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„12. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს უფლება აქვთ—წყალდიდობასთან ბრძოლისათვის და მის შედეგების ლიკვიდაციისათვის საკირო სამუშაოების შესასრულებლად შემოილონ ხოლმე თებერვლის 1-დან ივნისის 1-მდე და ოქტომბრის 5-დან ნოემბრის 30-მდე შრომისა და შრომის საკაპანიდევო ბეგარა.

აღნიშნული ბეგარა განხორციელდება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარის დაწესების შესახებ გამოცემულ დადგენილებაში (სსრ კან. კრ. 1932 წ. № 16, მუხ. 127)“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოლდრია.

1932 წ. ივნისის 13.

ტფილისი.

სამხედრო საქმე

129. დაღვენილება ც.ა.კ.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში 1910 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მორიგი გაწვევის წარმატებით ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ-ისა, აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ტერიტორიაზე მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში 1910 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მორიგი გაწვევის წარმატებით ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური ორგანიზაციის კომიტეტი ადგენს:

1. აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალური ორგანიზაციის კომიტეტი და საქართვე-

ლოს სსრ-ის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი და საქალაქო საბჭოებრივი უნდა შეუდგნენ ფართო კამპანიის გაშლის მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში 1910 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მორიგი გაწვევის უშუალო მომზადების განხორციელებისათვის.

ეს მომზადება განხორციელებულ უნდა იქნეს ჯარში გაწვევისათვის ხელშესაწყყობად სპეციალურად მოწყობილი კომისიების მეშვეობით და აღგილობრივი საბჭოთა, პარტიული, კომეკრატიული, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ორგანიზაციებისა და აგრეთვე თვით გაწვეულთა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით სოფლად და ქალაქად.

2. საქართველოს სსრ ყველა ცენტრალურმა დაწესებულებამ, კომერატიულმა, პროფესიონალურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს თავისი სისტემის ხაზით სრული განხორციელება იმ ღონისძიებებისა, რაც საჭიროა 1910 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მოსამზადებლად მორიგი გაწვევისათვის, და ამ მომზადებით მოცულ უნდა იქნეს ფაბრიკები, ქარხნები, კოლექტიური მეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და ყველა სხვა ქვემდებარე საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია.

3. ამა დადგენილების განსავითარებლად ჯარში გაწვევის ხელის შემწყობმა მთავრობის კომისიამ, რომელიც მოწყობილია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან, ფართოდ უნდა გაშალოს მუშაობა ჯარში გაწვევის ხელის შემწყობი აღგილობრივი კომისიების მოქმედების წარსამართავად და 1910 წელს დაბადებულ მოქალაქეთა გაწვევის მომზადებისა და წარმატებით ჩატარებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად საქართველოს სსრ ტერიტორიიაზე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდგინა ს. თოდირია.

1932 წ. ივნისის 22.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გან. „კომუნისტის“ 150 №-ში 1932 წ. ივნისის 29.

სახალხო მეურნეობის სამინისტრო საკითხები

130. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის მასალების წარდგენის ახალი გადების შესახებ.

„ა/ქსფსრ მეორე ხუთწლიანი გეგმის მასალების წარდგენის ახალი გადების შესახებ“ ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1932 წ. ივნისის 27-ს მიღებული დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭო, თავისი 1932 წ. მაისის 4-ის დადგენილების შესაცვლელად, ადგენს:

დაწესებულ იქნეს შემდეგი ახალი ვალები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის მასალების წარსაცენად.

1. მეორე ხუთწლიანი გეგმის წინასწარ ვარიანტს საქართველოს სსრ უწყებები და ორგანიზაციები და აგრეთვე საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი აეტონომიური რესპუბლიკები და აეტონომიური ოლქი წარუდგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, წინად განსაზღრული ვადის ნაცვლად (ივნისის 10-ის), არა უგვანეს ა/წ. ივლისის 5-ისა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის წინასწარ ვარიანტს წარმოუდგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. ივლისის 23-ს.

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ჩ. შომახია.

1932 წ. ივნისის 28.

ტურისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“ 151 №-ზე 1932 წ. ივნისის 30.

სამოქალაქო სამართალი

131. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22 მუხლის რედაქციის შეცვლისა და 22¹ მუხლის და 22 მუხლის დანართის გაუქმების შესახებ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. 22 მუხლი (კან. კრ. 1927 წ. მე-2 №-ი, მუხ. 19) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„22. ქვემოდ ჩამოთვლილი სახელმწიფო ქონება არ შეიძლება გასხვისებულ იქნეს კერძო (ფიზიკური და იურიდიული) პირებისა და აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სისტემაში შეუვალი კოოპერატიული ორგანიზაციების საკუთრებად; თანაც იგი არ შეიძლება დაგირავებულ იქნეს და აგრეთვე არ შეიძლება მაზე გადახდევინების მიქცევა კრედიტების დასაქმაყოფილებლად:

ა) სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა საწარმო მთლიანად;

ბ) სამრეწველო დაწესებულება (ფაბრიკა, ქარხანა, სამაღნო და სხვ.);

გ) სამრეწველო საწარმოთა გაწყობილობა;

დ) რეინის გზის მოძრავი შედგენილობა, საზღვაო და სამდინარეო ნაცვალი და საფრინავი აპარატი;

ე) რეინის გზის, წყლის და ჰაერის ტრანსპორტისა და სახალხო კავშირ-გაბმულობის ნაგებობა (ტელეგრაფი, ტელეფონი და საერთო სარგებლობის რალიო-დადგმულობა), ჰიდრო-ტექნიკური და საქონელთბრუნვის მომსახურეობისათვის დანიშნული ნაგებობა (ელექტრორი, მაცივარი და სხვა მისთ.) და აგრძელებული საერთო სარგებლობის ელექტრო-დადგმულობა;

ვ) კომუნიკაციური ნაგებობა;

ზ) შენობები.

შენიშვნა. ამა მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და აგრეთვე ერთ სახელმწიფო ორგანიზაციან სხვა სახელმწიფო ორგანიზაციისათვის და სისტემაში შემავალი კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის გადაცემის პირობები და წესი განისაზღვრება სპეციალური კანონებით“.

2. 22¹ მუხლი და 22 მუხლის დანართი—სახელმწიფო ქონების გასხვისების წესისა და პირობების დებულება (კან. კრ. 1927 წ. მე-2 №-ი, მუხ. 19)—გაუქმდებულ იქნება.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1932 წ. ივნისის 13.

ტფილისი.

132. დადგენილება ც.პ.კ. და ს.პ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 44¹ მუხლის დამატების შესახებ.

„სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის დაკავა გამო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 7-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 26 №-ი, მუხ. 161), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს 44¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„44¹. სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის სარჩელის აღმარის უფლება ისპობა:

ა) საურავისა, პირგაუტეხელობის ჯარიმისა და ჯარიმის გადახდევინების შესახები სარჩელისათვის—სამი თვის გასელისთანავე;

ბ) საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებთან დაკავშირებული სარჩელისათვის—წელიწადნახევრის გასვლისთანავე;

გ) კაპიტალური მშენებლობის შესახები ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელისათვის—ერთი წლის გასვლისთანავე;

დ) სხვა სარჩელისათვის—ექვსი თვეის გასვლისთანავე.

შენიშვნა. პროცესუალის თვეისების შესახები სარჩელის აღმერის წესი და ვადა განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი დაინტერესებულ უწყებასთან შეთანხმებით.

II. ამა დადგენილების 1-ლ კარში აღნიშნული ხანდაზმულობის ვადები გავრცელებულ იქნეს 1932 წ. აპრილის 1-დან აღმრულ პრეტენზიებზე.

1932 წ. აპრილის 1-დღე აღმრულ პრეტენზიებს ზემოაღნიშნული ვადები შეფერდება ისეთ შემთხვევაში, უკეთ იმ კანონის ძალით, რომელიც მოქმედობდა ამ პრეტენზიების წარმომბის დროს, სარჩელი შეიძლება აღმრულ იქნეს 1-ლი კარით დადგენილ ვადებზე უფრო გვიან ამ ვადების 1932 წ. აპრილის 1-დან გამოანგარიშებით“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრიკა.

1932 წ. ივნისის 22.

ტფილისი.

მ უ მ ე ბ ლ ი ბ ა

133. დადგენილება ს.პ.ს.

საბინაო, კომუნალური და სხვა არასამრეწველო მშენებლობისათვის დანიშნული სახსრის თავის დროზე და სრულად საქართველოს სსრ კომუნალურ

ბანკში აკუმულაციის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„საბინაო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის დანიშნული სახსრის თავის დროზე და სრულად კომუნალური ბანკების სისტემაში აკუმულაციის უზრუნველყოფის შესახებ“ გამოცემული ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების თანახმად („ზარია ცოსტრკა“-ს 127 №-ი, 1932 წ. ივნისის 2) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—საბინაო, კომუნალური და სხვა არასამრეწველო მშენებლობისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით გათვალისწინებული ყველა სახსარი, რაც გატარებულია როგორც ცალკეული უწყებების და დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვებში, ისე სახალხო მეურნეობის დაფინანსების ნაწილში, გადასცენ ხოლმე

უშუალოდ საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს ან მის ადგილობრივ ფრილენდ მუნიციპალიტეტის მიერ და გამოსაყენებლად იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამიერ-კავკასიის ცენტრალური ოღასარულებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 8-ის დადგენილებაში „რესპუბლიკანური და ადგილობრივი კომუნალური ბანკების მეშვეობით კომუნალური და საბინაო მშენებლობის დაფინანსების წესის შესახებ“ და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 18-ის დადგენილებაში „ადგილობრივ საბჭოთა და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა მიერ განსახორციელებელი საბინაო, კომუნალური და სხვა არასამრეწველო მშენებლობის დაფინანსების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 220).

2. წინადადება მიეცეს განსაზოგადოებული სექტორის ყველა იმ რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელიც ანხორციელებს საბინაო, კომუნალურ და სხვა არასამრეწველო მშენებლობას თავისი სახსრით (შინაგანი დანაგროვი) — შეიტანოს ხოლმე ეს სახსარი, თავისი სამყოფელი ადგილის მიხედვით, საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკში ან მის უახლოეს ფილიალში ამ სახსრის მიზნობრივი გამოყენებისთვის განსაკუთრებული ხელშეკრულების საფუძველზე ზემოაღნიშნულ, 1930 წ. ოქტომბრის 8-ისა და 1931 წ. სექტემბრის 18-ის, დადგენილებებში გათვალისწინებული წესისამებრ.

ზემოაღნიშნული მიზნებისათვის სამეურნეო ორგანიზაციების სამრეწველო-საფინანსო გეგმებით გათვალისწინებულ სახსარს სახელმწიფო ბანკის ორგანოები გადარიცხავენ სათანადო ორგანიზაციების ანგარიშებიდან საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის და მისი ადგილობრივი ფილიალების ანგარიშებზე სპეციალური ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ.

3. წინადადება მიეცეს განსაზოგადოებული სექტორის ყველა ორგანიზაციას — გადარიცხოს ხოლმე საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკში ან მის უახლოეს ფილიალში მუშათა და მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდისათვის ამ ორგანიზაციის მიერ გადასადები ანარიცხები არა უგვიანეს ერთი დეკადის ვადისა წლიური ანგარიშის და ბალანსის დამტკიცების დღიდან.

4. ის თანამდებობის პირი, რომელიც დაარღვევს ამა დადგენილებას, პასუხს აგებს სისხლის სამართლის ან სადისციპლინო წესით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თაემჯდომარის მოადგ. პ. აღნიაშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომაზია.

1932 წ. ივნისის 23.

ტფილისი.

ወጪ, ቅዱ, የዕድገት. ገዢያዊ ይህንናውን

134. ରାଜ୍ୟବିନୋଦପତ୍ର ଓ କମିଶନରେ କମିଶନରେ

„ხარისა და კამერის დაცვის აკრძალვის თაობაზე“ გამოცემული
დადგენილების გაუქმების შესახებ.

„ოთხეულის საქონლის დამზადების გეგმისა და კოლმეურნეთა და ინდივი-
დუალურ მშრომელ გლეხთა მიერ ხორცის გაჭრობის „შესახებ“ გამოცემული
სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად სიაჟშირო კომუნისტური
პარტიის (ბ) ცენტრალური კოშიტეტის 1932 წ. მაისის 10-ის დადგენილების
მე-4 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 33 №-ი, მუხ. 195), სრულიად
საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ
სახალხო კომისართა საბჭო აღდგენება:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 23-ის დადგენილება „ხარისა და კამენის დაკვლის აკრძალვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-11 №-ი, მუხ. 74) გაუქმდებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მანარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალიბლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოლრია.

1932 წ. ივლისის 9.

ଓଡ଼ିଆ

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 161 №-ში 1932 წ. ივლისის 12.

ვაჭრობა. მოგარენება

135. დადგენილება ც.ა.პ. და ს.პ.ს

მომხმარებლამდე ფართო მოხმარების საქონლის დაწეარებით და დაუკადებლად მიწვდენის უზრუნველსაყოფად და გადასაქონლებასა და საქონლის ბრუნვის გაყინებასთან საბრძოლველად, სრულიად საქართველოს ცენტრალური ორგანიზაციების კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარობრივი აღგენება:

1. დაევალოს სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მოწესრიგების კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში—დამყაროს ფართო მოხმარების საქონლის თავის დროზე და დაუბრკოლებლად მომხმარებლიმდე, კერძოდ სოფლის მშრალმელ მოსახლეობამდე მიწვდენისათვის მეთვალყურეობის გაწევის ისეთი წესი, რაც უზრუნველყოფს ამ პროცესს გადასაქონლებისაგან და საქონლის

ბრუნვის გაყინებისაგან, ბაზრის მოთხოვნილებისა და ტევადობის ანგარიშების მიუღებლად საქონლის გზავნისაგან, შეუფერებელი ასორტიმენტის შერჩევისაგან, საქონლის წარგზავნის დროს მისი არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებისაგან და სხვა მისთ.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს—დააჭერნ სამუდამდებრე ზედამხედველობა საქონელგამტარებელი ქსელის ორგანოებისათვის მათ მიერ ფართო მოხმარების საქონლის შეზიდვისა და რეალიზაციის გეგმების და წესის შესრულების ხაზით.

მიენდოს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექტის სახალხო კომისარიატს—გააძლიეროს, თავისი სარაიონო ორგანოების მეშვეობით, მეთევალყურეობა მთავრობის დირექტორებისა და დადგენილებების შესრულებისათვის ფართო მოხმარების საქონლის მომხმარებლად მიწვდინის სფეროში; თანაც გამოშარაოს ამ დირექტორებისა და დადგენილებების დარღვევათი ჩამდენი კონკრეტული დამაზადები და მისცეს ისინი პასუხისმგებაში.

2. წინადადება მიეცეს სახელმწიფო პროკურატურას: ა) აძლიოს პასუხისმგებაში ისისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ ისისხლის სამართლის კოდექსის მე-8 და 134 მუხლების თანახმად (უთადარიგობა) ის თანამდებობის პირი, ვინც დამაზავე იქნება გადასაქონლებასა და საქონლის ბრუნვის გაყინებაში, ფართო მოხმარების საქონლის მოძრაობის აღნუსხვის უქონლობასა თუ არასისწორით დაყენებაში, საქონლის წარგზავნის დროს მისი არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებაში და სხვა მისთ., უკეთუ ეს მოქმედება არ შეიცავს სხვა თანამდებობრივ დანაშაულთა ნიშნებს, რაც იწვევს უფრო სასტიკ სოციალური დაცვის ღონისძიებას (საქ. სსრ ისისხლის სამართლის კოდექსის 114, 115 და 118 მუხ.), ვიდრე ეს გათვალისწინებულია საქართველოს სსრ ისისხლის სამართლის კოდექსის 134 მუხლით; ბ) უზრუნველჰყოს ამ საქმეების გამოძიება რაც შეიძლება სასწრაფო წესით.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს—უზრუნველჲყოს ზემოაღნიშნულ დანაშაულში თანამდებობის პირთა ბრალდების საქმეთა დაუყოვნებელი მსვლელობა სასამართლო დაწესებულებებში.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლივილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრიგა.

1932 წ. ივლისის 9.

1.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 159 №-ში 1932 წ. ივლისის 10.

136. დაღგმილება ს.ქ.ს.

ხილ-ბოსტნეულის დამზადების ცენტრალიზებული გეგმის შემცირების შესახებ.

საბჭოთა ვაჭრობის მაქსიმალურად გაშლისა და კოლექტიურ მეურნეობა-თათვის, კოლმეურნეთათვის და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთათვის იმ შე-საძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით, რომ მათ ფართოდ გაშალონ თავიანთი ვაჭრობა ბაზარზე და საკოლმეურნეო დუქნებში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემცირებულ იქნეს კოლექტიურ მეურნეობათა, კოლმეურნეთა და ინდი-ვიდუალურ მშრომელ გლეხთა ვალდებულებანი 1932 წლის მოსავლის ხილ-ბოსტნეულის კონტრაქტაციის ხაზით: კარტოფილისა—13.700 ტონიდან 8.000 ტონამდე, ბოსტნეულისა და ბაზეულისა—31.500 ტონიდან 11.700 ტონიმდე, წიპჭოვანი ნაყოფისა—17.700 ტონიდან 8650 ტონამდე და გახმობილი ხილი-სა—1.695 ტონიდან 630 ტონამდე.

2. გაუქმებულ იქნეს საკონტრაქტაციო ვალდებულებანი იმ კულტურების ხაზით, რაც არ შედის დამზადებათა ცენტრალიზებულ გეგმაში, გარდა საკონ-სერვო და ხილეულ-გადამშუშავებელი მრეწველობის მოთხოვნილებისა ამ მრეწ-ველობის ზონებში.

საკონსერვო და ხილეულ-გადამშუშავებელი მრეწველობის (თხილ-კაკლის საწმენდი ქარხნები, სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებები და სხვა მისთ.) ზონებში ყველა კულტურის ხაზით დადებული საკონტრაქტაციო ხელშეკრულე-ბებით გათვალისწინებული ვალდებულებანი დატოვებულ იქნეს ძალაში და კონტრაქტანტები უზრუნველყოფილ იქნეს პურის მომარაგებით პირველ რიგში.

3. ამა დალგენილების 1 და 2 მუხლების შესაბამისად დამტკიცებულ იქნეს ხილ-ბოსტნეულის დამზადებათა (საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის გარდა) ცენტრალიზებული გეგმა უაღრესი მნიშვნელობის სამრეწველო ცენტრების უზ-რუნველყოფისათვის განსაკუთრებული დანიშნულებისათვის და საკონსერვო და ხილეულ-გადამშუშავებელი მრეწველობისათვის შემდეგი რაოდენობით:

კარტოფილი	8.000	ტონა
კომბოსტო	1.800	"
ხახვი	750	"
საჭმელი ქარხალი	750	"
პომიდორი	6.300	"
სტაფილო	300	"
სხვა ბოსტნეული	1.800	"
ვაშლი	7.500	"
შსხალი	1.000	"
კომში	250	"
კურკოვანი ნაყოფი და სხვ.	1.300	"
თხილი	500	"
ზაგელიავა	130	"

4. მიენდოს შრომისა და თავფაცვის საბჭოსთან არსებულ დამზადებაზე კომიტეტის რწმუნებულს—დაანაწილოს ორი დღის ვადაზე ხილ-ბოსტნეულის დამზადებათა რესპუბლიკანური ცენტრალიზმებული გეგმა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებე, რაიონებსა და დამზადებლებზე და ამავე ვადაზე მიაწოდოს იგი მათ.

5. წინადადება მიეცეს დამაკონტრაქტებელ ორგანიზაციებს—გადასინჯონ მიმღინარე წლის ივლისის 5-დე საკონტრაქტაციო ხელშექრულებები გეგმების შემცირების მიხედვით.

6. დაევალოს საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებს—მაქსიმალურად გაშალონ ხილ-ბოსტნეულის დამზადება საბჭოთა ვაჭრობის წესით ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრების მშრომელი მოსახლეობისათვის მისაყიდად.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—აღვეთონ ყოველგვარი ცდა ძირითადი დამზადებლებისა—ორგანიზაციების მიერ საბჭოთა ვაჭრობის წესით შესყიდული ხილ-ბოსტნეულის გამოზიდვისათვის რაიმე დაბრკოლების გაწევის მიზნით.

7. ვინაიდან კარტოფილის დამზადების გეგმით გათვალისწინებულია მხოლოდ 2.000 ტონა სათესლე კარტოფილის დამზადება, დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—იხმაროს თავისი ხაზით ლონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს 1933 წლის თესეის კაპანიას თესლით და პირველ რიგში სათესლე ფონდების დაგროვებას კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

8. საზოგადოებრივი კვებისათვის ზამთრის პერიოდში ხილ-ბოსტნეულის პროდუქციის მარაგის შექმნისა და შენახვისათვის დაევალოს ცეკავშირისა, აფ-კავშირისა და საქებილბოსტრის კავშირის სისტემებს შექმნან ხილ-ბოსტნეულის სათანადო რეზერვები, ისე, რომ ეს რეზერვები არ იხარჯებოდეს სხვა საჭიროებაზე.

9. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ყოველმხრივ ხელი შეუწყონ კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური მშრომელი გლეხების მიერ ხილ-ბოსტნეულის ვაჭრობის განვითარებას და აღკვეთონ ჩარჩებისა და შემსყიდველ-სპეცულანტების ყოველგვარი ცდა გამდიდრდებ ამ ვაჭრობით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. ალნიაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. ივნისის 26.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომიტისტის“ 149 №-ზი 1932 წ. ივნისის 28.

137. დადგენილება ს.კ.ს.

ოთხფეხი საქონლისა და ხორცეულის ვაჭრობის საგეტერინარო-სახანიტარო
ზედამხედველობის შესახებ.

ბაზარზე საღი ოთხფეხი საქონლისა და კარგი ხორცის გაყიდვის უზრუნ-
ვლყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ
კომიტეტებს:

ა) განსაზღვრონ სავალდებულო დადგენილებათა წესით, რომ მსხვილებება
საქონლის გაყიდვა როგორც ჯგუფობით, ისე თითო სულობით, ხოლო წერილ-
ფეხა საქონლისა—ჯგუფობით ქალაქებში, ქალაქის ტიპის დიდ დასახლებულ
ადგილებში, სააგარაკო და საკურორტო ადგილებში უნდა სწარმოებდეს მხო-
ლოდ საამისოდ ბაზარზე და მოედანზე გამოყოფილ ადგილას;

ბ) გამოცყონ ბაზრებზე სპეციალური ადგილები კოლექტიურ მეურნეობათა,
კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა წერილებება საქონლის ვაჭ-
რობისათვის (როგორც ჯგუფობით, ისე თითო სულობით);

გ) უზრუნველპყონ „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული ადგილები სავეტე-
რინარო-სასანიტარო ზედამხედველობით და ავრეთვე უფასო სავეტერინარო და-
ხმარების გაწევით იმ კოლექტიურ მეურნეობათათვის, კოლმეურნეთათვის და
ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთათვის, რომელნიც მიერეკებიან საქონელს გა-
საყიდად;

დ) განსაზღვრონ სავალდებულო დადგენილებათა წესით, რომ მსხვილებება
საქონლის დაკვლა ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში და სხვა
ადგილებში, სადაც არსებობს სასაკლაონ და სპეციალური სასაკლაონ მოედანი,
უნდა სწარმოებდეს მარტივოდენ ამ სასაკლაონ ადგილას;

ე) მოაწყონ უმოქლეს ხანში ყველა საკურორტო და საიდარაკო ადგილის
სასაკლაონი და სასაკლაონ მოენდები, რაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათა-
ნადო გამართულობით და ვეტერინარული პერსონალით;

ვ) განსაზღვრონ სავალდებულო დადგენილებათა წესით, რომ ხორცეული
პროდუქციის გაყიდვა ქალაქებში, ქალაქის ტიპის დიდ დასახლებულ ადგი-
ლებში, საკურორტო და სააგარაკო ადგილებში უნდა სწარმოებდეს მხოლოდ
მას შემდეგ, რაც ეს პროდუქცია სათანადოდ დათვალიერებულ იქნება სანიტა-
რულად და ეს დათვალიერება დამოწმებულ იქნება გასაყიდ პროდუქტებზე სპე-
ციალური ნიშნებით (დადალვა, დაპლომბება და სხვა მისთ.).

შენიშვნა. იმ ადგილებს, სადაც შემოლებულ უნდა იქნეს სპეცია-
ლური სავეტერინარო-სასანიტარო წესები ოთხფეხი საქონლის და ხორცის
გაყიდვისა და საქონლის დაკვლისათვის (ამა მუხლის „ა“, „ბ“ და „ზ“
პუნქტები), განსაზღვრავს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო
კომისარიატი, მომარაგებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებ-
თან შეთანხმებით.

2. ნებადართულ იქნეს ყველგან წვრილფეხა საქონლის (კუვარი, ღორი) მოწამეთა მიერ სათითოოდ დაკვლა როგორც საკუთარი საჭიროებისათვის, ისე გასაყიდად, სა-საკლაოების და სასაკლაო მოედნების გარეშე (შინ დაკვლა), გარდა კერძო მო-გატრების მიერ საქონლის დაკვლისა ქალაქებსა, ქალაქის ტიპის დიდ დასახ-ლებულ ადგილებსა, საკურორტო და სააგარაკო ადგილებში გასაყიდად.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კო-მისარიატს: ა) უზრუნველყოს ადგილობრივი საბჭოები ამა დაგენილების გან-ხორციელებისათვის საჭირო სავეტერინარო კალტებით და ბ) გაზალოს კოლექ-ტიურ მეურნეობათა ბაზრებზე სავეტერინარო-საგანმანათლებლო მუშაობა ლექ-ციებისა, საუბრებისა და კონსულტაციების მოწყობით, პოპულარული ლიტერა-ტურის გავრცელებით და სხვა მისთ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. იქლისის 4.

ტფილის.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 157 №-ში 1932 წ. იქლისის 8.

კომუნალური და საბინაო მუშაობა

138. დაღვისილება ც.ა.კ.

ქალაქებსა და მუშაობა დაბებში საბინაო ფონდის რეზონტის
მოწყობის შესახებ.

ვინაიდან არსებული საბინაო ფონდი, რომელიც მრავალ წლების განმავ-ლობაში არ შექოთებულია, მასურ ნგრევას განიცდის, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საჭიროდ სთვლის აუცილებელ ლო-ნისძიებათა მიღებას საბინაო ფონდის დასაცავად და ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საბინაო კავშირს, საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ ქალაქებსა და მუშაობა დაბებში, სამეცნ-ნეო ანგარიშის საფუძვლებზე, საქმარისი რიცვით სარემონტო კონტორები, საერთონი, მათი ერთმანეთთან შეთანხმებით, ან თვითეულმა ცალკე თავის სის-ტემაში; ხოლო იქ, სადაც არსებობენ სარეწაო კავშირში (სარეწაო კოოპერა-ტული ამხანგობანი) შემავალი სპეციალური სარემონტო-სამშენებლო კონტო-რები, გამოიყენონ ეს კონტორები.

2. რაღაც სამეცნეო თვალსაზრისის მიხედვით მიზანშეწონილია მშრო-მელი მოსახლეობის ჩაბმა სარემონტო სამუშაოების მოწყობისა და განხორციე-ლების საქმეში, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა სარემონტო კონტორების მოწ-ყობასთან ერთად, ყოველმხრივ წახალისებულ იქნეს სარემონტო სამუშაოების წარმოება სამეცნეო წესით საბინაო ამხანგობებისა და სახლის მმართველობე-ბის მიერ, მოსახლეობის თვითმოქმედების მაქსიმალურად გამოყენებით.

შენიშვნა. სარემონტო კონტორების მოვალეობას შეადგენს მთაწყონის ტექნიკური კონსულტაცია და გაუწიონ ტექნიკური დახმარება საბინაო ამხანაგობებსა და სახლის მმართველობებს მათ მიერ სამეურნეო წესით რემონტის წარმოების დროს.

3. წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს—გაუთანაბროს სარემონტო კონტორების მუშები სამშენებლო მუშებს სასურსათო მომარაგების მხრით.

4. წინადადება მიეცეს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, საბინაო კავშირთან და სახელმწიფო პროექტურასთან ერთად: ა) გამოსცეს ინსტრუქცია იმის თაობაზე, რომ სახლის მმართველობებმა დასდევან სადგომების დამჭირავებლებთან ხელშეკრულებები, რომლებითაც გაითვალისწინება სადგომების გამოყენების წესი, დამჭირავებლებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრებით სადაცემული სადგომისა და ქონებისათვის; ბ) დაამყაროს განსაზოგადოებული სექტორის საცხოვრებელ სახლებში შინაგანრიგების წესები გაუპიროვნების ლიკვიდაციის ხაზით და სადგომების დაცვისათვის დამჭირავებლების პერსონალური და მატერიალური პასუხისმგებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით.

5. წინადადება შეიცეს საქართველოს სსრ ეკონომიკურ საბჭოს—ადგილობრივი საშენი მასალის განაწილების დროს მაქსიმალურად დააქმაყოფილოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და საბინო კავშირის განცხადებები სარემონტო მასალის შესახებ.

6. გადაცვანილ იქნეს სარემონტო კონტორები საშენი მასალით მომარაგების მხრით პირველ კატეგორიაში, დამჭირელი ორგანიზაციების შევდეგ.

7. წინადადება მიეცეს საბინაო კავშირს, საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—იქმარონ ღონისძიება ადგილობრივი საშენი მასალის (აგური, კრამიტი, კირი, გაჯი, ხე-ტყის მასალა და სხვ.) წარმოების მაქსიმალური განვითარებისათვის.

8. რადგანაც საშენი ხე-ტყის მასალის მოზიდვა ბრკოლდება ვაგონების თავის დროზე შიუცემლობის გამო, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გადაზიდვების ადგილობრივ თათბირს—თავის დროზე და მაქსიმალურად აქმაყოფილოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და საბინაო კავშირის განცხადებები ვაგონების მიცემის შესახებ.

9. დაევლოს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოპყონ კერძო მფლობელობის სახლების რემონტისათვის საჭირო საშენი მასალის ფონდი და დააწესონ კონტროლი ამ მასალის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის.

10. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს—ფართოდ გაშალონ რაციონალიზაციული ღონისძიებანი რემონტისათვის, როგორც უფრო ძნელი სარემონტო სამუშაოების მექანიზაციის ხაზით, ისე დამხმარე სამუშაოებისათვის დეფიციტიანი მასალისა და მუშა-ძალის გამოყენების შემცირების ხაზით.

11. მიენდოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს — შეიმუშავებოდეთ ერთი დეკადის ვადაზე, საბინაო კავშირთან ერთად, ლონისძებანი, რაც უზრუნველყოფს სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო საშენი მასალის შინაგანი რესურსების მაქსიმალურად სრულ მობილიზაციას.

12. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს — შეუფარდონ მტკიცედ იმ კერძო მფლობელთ, რომელნიც თავს არიდებენ თავიანთი სახლების რემონტს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 26-ის დაგენილება (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-7 №-ი, მუხ. 57) — ისე კი, რომ კერძო მფლობელთ ეძღვოდეთ რემონტისათვის საჭირო ვადა სარემონტო სამუშაოების ონიშენით, ხოლო მუნიციპალიზაციის შემთხვევაში ჩამორთმეული სახლები დაუყოვნებლივ შეკეთებულ იქნეს.

13. საბინაო კავშირში, საქალაქო საბჭოებმა, სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და აგრეთვე ყველა იმ უწყებამ და დაწესებულებამ, რომელიც სარგებლობს მაზე მიმაგრებულ ნაკონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებს, დაუყოვნებლივ უნდა გაშალონ, მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობით, მუშაობა შენობათა რემონტისათვის.

14. დაევალოს საბინაო კავშირს, საქალაქო საბჭოებს და სარაიონო ოლმასრულებელ კომიტეტებს — მოისმინონ ყოველ თვე მოხსენებები სახლების რემონტის მსვლელობის შესახებ და წარუდგინონ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს სათანადო ცნობები.

15. დაევალოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს — ორ თვეში ერთხელ ურდეგინოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ანგარიშები შენობათა რემონტის მსვლელობის შესახებ.

16. მიენდოს მუშაობა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს — დაამყაროს მტკიცე კონტროლობა დადგენილების აღსრულებისათვის.

17. წინადადება მიეცეს სახელმწიფო პროკურატურას — აღლიოს პასუხისმგებაში სისხლის სამართლის წესით ის თანამდებობის პირი, რომელთაც დაბრალდებათ უმუყითობა საცხოვრებელი შენობების რემონტის საქმეში.

18. მიენდოს აფხაზების ავტ. სსრ-ისა, აქარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს — განხორციელონ ანალოგიური ლონისძებანი.

წინადადება მიეცეს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს — გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის, სახლების რემონტის წარმოებისათვის საქალენდარო ვადების დადგენით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდირია.

1932 წ. ივლისის 3.

ტყილისი.

სოციალურ-კულტურული მუნიციპალიტეტი

139. ଲୁହାରୀକୋଣ୍ଡା ଓ. ଡ. ଡ.

თურქული დამწერლობისათვის უნიფიკირებული ლათინიზირებული ალფა-ბერტის შემოლების შესახებ.

რათა გაძლიერებულ იქნეს საქართველოს სსრ-ის ეროვნებათა ინტერნაციონალური კავშირი და სოციალისტური მშენებლობის გაცვლა-გამოცვლა სხვა საბჭოთა სოციალისტური რესუბლიკების ეროვნებებთან, რომელიც გადასული არიან უნიფიცირებულ ლათინიზირებულ ალფაბეტზე, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადაღება მიეცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, სასწავლებელს, სამეცნიერო დაწესებულებას, საწარმოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, გამოცემლობას, პერიოდულ გამოცემას, ჟურნალს და გაზეთს, რომელიც საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე საქმის წარმოებისა, სწავლებისა და ნაგეჭილ პროდუქციის გამოშვებისათვის თურქულ ენას ხმარობენ და ლათინიზირებულ ალფაბეტს სარგებლობენ, გადავიდნენ არა უგვიანეს 1932 წლის ივლისის 20-ისა უნიფიცირებულ ლათინიზირებულ ალფაბეტზე.

2. ამა დაღვენილების განხორციელებისათვის სათანალო ღონისძიებათა შემუშავება და საერთო ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს.

სრ. საქ.: გ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრ. საქ. (3: 5. 4-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 ଫେବୃଆରୀ ୨.

ଶ୍ରୀକୃତ୍ସମ୍ବନ୍ଧ

140 ପ୍ରାଣୀଜୀବିତା ଓ.କ.କ. ୧୯ ୬.୬.୬.

„სახეოლო ხადგომების გამოყენების ოპიტაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1982 წ. პრილის 7-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„სასკოლო სადგომების გამოყენების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტ-
რალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ.
აპრილის 7-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. ქრ. 1932 წ. 25 №-ი,
მუხ. 153), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შინადალება მიეცეს იმ სახალხო კომისარიატსა და სამეურნეო ორგანიზაციას. რომლის გამგებლობაშიც გადავიდა საშუალო ტექნიკური სასწავლებელი.

ლები (სპეციალური ტექნიკუმები) და რომელსაც ამასთან დაკავშირებით დაეცა შენობები, რაც წინად პირველი და მეორე საფეხურის სკოლებს ეჭირათ, დაუყოვნებლივ შეუდგეს საკუთარი შენობების მშენებლობას (ახალი შენობის აგება, დაწყებულის დამთავრება და დაშენება), ამ სასწავლებლების მოსათავსებლად ისეთი ვარაუდით, რომ 1933 წლის ბოლოსთვის სასწავლებლები უზრუნველყოფილი იქნეს საჭირო შენობებით.

დაევალოს აღნიშნულ უწყებებსა და ორგანიზაციებს—შეიტანონ მათ მიერ შესადგენ 1933 წლის მშენებლობის საკონტროლო ციფრებში თანხები, რაც უზრუნველყოფს ზემოხსენებული დირექტივის შესრულებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა მიიღონ ანგარიშში ეს დარექტივა 1933 წლის საკონტროლო ციფრებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის და განხილვის დროს.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ განთავისუფლებული სადგომები იმ შენობებში, რაც წინად I-ლი და მე-II საფეხურის სკოლებს ეჭირათ, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს განათლების სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანიზაციებს მათი ადმინისტრირების ქვეშ მყოფი სკოლების მოსათავსებლად.

3. პირველი და მეორე საფეხურის სკოლების სადგომების მარტოოდენ პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის (სწავლა-აღზრდის მუშაობა ბავშვებთან) დაევალოს იმ უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომელიც სარგებლობენ ამ სადგომებს ისეთი საჭიროებისათვის, რასაც უშუალო კაშშირი არა აქვს სათანადო სკოლების მუშაობასთან, სხვათა შორის—სპეციალური კურსებისა და ტექნიკუმების მეცადინეობისათვის (სალმოს ტექნიკუმები, მუდმივი და დროებითი კურსები და სხვა მისთ.),—გაანთავისუფლონ ეს სადგომები არა უგვიანეს 1932 წლის სექტემბრის 1-ისა.

მიენდოს ადგილობრივ საბჭოებს—უზრუნველყონ ამ ვალისათვის უწყებები და ორგანიზაციები ზემოაღნიშნული მოთხოვნილებისათვის საჭირო საღომებით.

აიგრძალოს შემდგომ I-ლი და მე-II საფეხურის სკოლების სადგომების დაკრია, თუნდაც არა სწავლების დროს, უცხო ორგანიზაციების მიერ ისეთი საჭიროებისათვის, რასაც უშუალო კაშშირი არა აქვს სკოლების მუშაობასთან აღზრდა-განათლების სფეროში.

II.

შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს სსრ მთავრობის შემდეგ აქტებში:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართში—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 20-ის დეკრეტში მოქალაქეთა მიერ დაჭერილი სადგომებიდან მათი ადმინისტრატიუ-

ლი წესით გამოსახლების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 1931 წ. 22 №-ი, მუხ. 235) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დაემატოს ამ დეკრეტს მე-2¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„2¹. შეიძლება გამოსახლება საადმინისტრაციო წესით წელიწადის რა დროსაც უნდა იყოს,—გამოსახლებისათვის ერთი თვეს ვადისა და სატრანსპორტო საშუალებათა მიცემით, ხოლო გამოსახლებულისათვის საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად,—I-ლი და მე-II საფეხურის სკოლის საღომიდან ყველა იმ პირისა, რომელსაც ურთიერთობა არა იქნეს ამ სკოლასთან ან რომელმაც დაკარგა კავშირი მასთან;

შენიშვნა. ადგილობრივი საბჭო მოვალეა მისცეს ზემოაღნიშნული წესით გამოსასახლებელ პირს ამა დეკრეტის მე-5 მუხლში ჩამოთვლილ მშრომელთა კატეგორიებიდან საცხოვრებლად ვარგისი ფართობი უწყებული ადგილისათვის დადგენილი საცხოვრებელი ნორმის მიხედვით.

ადგილობრივი საბჭოების მიერ ზემოაღნიშნულ ვადაზე საცხოვრებელი ფართობების მიუცემლობა არ წარმოადგენს საფუძველს გამოსახლების შეჩერებისათვის.

ადგილობრივი საბჭო განთავისუფლდება იმ გამოსასახლებელი პირისათვის საცხოვრებელი ფართობის მიცემის მოვალეობისაგან, რომელმაც დაანება თავი სკოლაში მუშაობას ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე ან რომელიც დათხოვნილია შრომის დისკიპლინის დარღვევისათვის თუ დანაშაულის ჩადენის გამო“.

ბ) მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[4. ადმინისტრატიული წესით გამოსახლება ყოველ უამს წლის განმავლობაში—გამოსახლებისათვის არა ნაკლებ ერთი თვის ვადის მიცემით და ამა დეკრეტის მე-5 მუხლში ჩამოთვლილ მოქალაქეთათვის აუცილებლად საცხოვრებლად ვარგისი თავისუფალი სიერცისა და სატრანსპორტო საშუალებათა მიცემით, შეიძლება:.....]

„ვ“ სპეციალური დანიშნულების სახლებიდან, სახელდობრ: სასწავლებლების (გარდა I-ლი და II საფეხურის სკოლებისა, რომლების მიერ დაპერილი სადგომებიდან გამოსახლება რეგულირდება ამა დეკრეტის 2¹ მუხლით), მუზეუმების, ბანკების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, საავადმყოფოების, სამკურნალოების და სანიტარული დაწესებულებების სახლებიდან, ინგალიდთა სახლებიდან, ბავშვთა სახლებიდან, ბალეტიდან და ბაგებიდან“.

2. „საქართველოს სსრ დაწყებითს და საშუალო სკოლაში სასკოლო რეგიმისა და ბავშვთა ჯანმრთელობის საქმის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 31-ის დადგენილების მე-3 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-7 №-ი, მუხ. 62) გაუქმდებულ იქნეს 1932 წ. სექტემბრის 1-დან.

III.

მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი აეტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ

საქირო ლონისძიებანი, რათა ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე განხორციელებულ იქნეს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აპრილის 7-ის დადგენილება „სასკოლო სადგომების გამოყენების შესახებ“.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. ალნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ხ. თოდრიკა.

1932 წ. ივლისის 2.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 157 №-ზი 1932 წ. ივლისის 10.

სისხლის სამართლი

141. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 136¹-ა, 136¹-ბ და 136¹-გ მუხლების
შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენება:

სისხლის სამართლის კოდექსის 136¹-ა, 136¹-ბ და 136¹-გ მუხლები (1932 წლის მარტის 23-ის დადგენილება—საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-11 №-ი, მუხ. 83) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„136¹-ა. ინდივიდუალური მეურნეობის კუთვნილი ცხენის უკანონი (სავეტერინარო ზედამხედველობის უნებართვოდ) დაკვლა, აგრეთვე განჩრას დაშავება და სხვა ბოროტებული მოქმედება, რასაც მოჰყევა ცხენის სიკვდილი თუ ცხენის გაფუჭება, გამოიწვევს სააღმინისტრაციო წესით, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად,

ჯარიმის დაკლული, მომკვდარი თუ გაფუჭებული ცხენის ღირებულების ათჯერად რაოდენობამდე აღგილობრივი სახელმწიფო სადამშადებლო ფასების მიხედვით.

იგივე მოქმედება, აგრეთვე საამისოდ წაქეზება, კულაკის ან კერძო შემსყიდველის მიერ ჩადენილი, გამოიწვევს:

სააღმინისტრაციო წესით, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად,—

ჯარიმის იმავე რაოდენობით მთელი კუთვნილი ოთხეხი საქონლის ან ამ საქონლის ნაშილის კონფისკაციით ან უამისოდ და ამის გარდა—სასამართლო წესით—

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე უწყებული აღგილიდან გამოსახლებით ან უამისოდ“.

„136¹-ბ. განსაზოგადოებულ სექტორში (კოლექტიური მეურნეობა, სამანქანო-საცხენო სადგური, დაწესებულება და საწარმო) კონტა მეურნეობა, სამანქანო-საცხენო სადგური, დაწესებულება და საწარმო) ცხენის უკანონი (სავეტრინარო ზედამხედველობის უნიტაროვოდ) დაკვლა, აგრეთვე განხრას დაშავება და სხვა ბოროტებული მოქმედება, რასაც მოჰყვა ცხენის სიკვდილი თუ გაფუჭება, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე“.

„136¹-გ. დანაშაულებრივ-დაუდევარი მოპყრობა ცხენისადმი, განსაკუთრებით მაცე ცხენისადმი (რომლის ექსპლოატაციაც შეიძლება მხოლოდ ზოოვეტრინარული პერსონალის ნებართვით და მის მიერ დაწესებული ნორმების მიხედვით) განსაზოგადოებულ სექტორში (კოლექტიური მეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამანქანო-საცხენო სადგური, დაწესებულება და საწარმო), უკეთ ასეთ მოპყრობას მოჰყვა ცხენის სიკვდილი ან გაფუჭება, გამოიწვევს იძულებით მუშაობას ექვს თვემდე.

უკეთ ასეთ მოპყრობას ცხენებისადმი სისტემატიური ხასიათი აქვს ან მას მოჰყვა ცხენთა თვალსაჩინო რიცხვის დალურვა,—

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.

უკეთ დაუდევარ მოპყრობას ცხენებისადმი ზემოაღნიშნული შედეგი არ მოჰყვა,—

სადისკიპლინო გადასახდელს „შინაგანრიგების წესების მიხედვით და ფულის დაცერას მომზედი კანონის თანახმად“.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე გ. შგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდიგანი ხ. თოდირია.

1932 წ. ივლისის 9.

ტფილისი.

სასამართლო ფუნგილება და სამართლის წარმოება

142. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების ქვემდებარეობის გაფართოებისა და ამ სასამართლოების დებულების შეცვლის შესახებ.

„სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. აპრილის 17-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 29, მუხ. 180), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენენ:

I.

გაფართოებულ იქნეს სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების ქვემდებარეობა, მათთვის გადასაწყვეტად შეძლევი საქმეების გადაცემით:

ა) იმ საქმეებისა, რაც დაკავშირებულია ცალკეული ღარიბი და საშუალო შეურნეობების მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დავალებათა სფეროში ვალდებულების შეუსრულებლობასთან, უკეთუ, სათანადო სასოფლო საბჭოს აზრით, ამ მეურნეობების ხელმძღვანელთა მიმართ უფრო მიზანშეწონილია საზოგადოებრივი ზემოქმედების მეთოდების შეფარდება, ვიდრე მათი პასუხისმგებაში მიცემა საადმინისტრაციო ან სასამართლო წესით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხ.);

ბ) იმ საქმეებისა განსაზოგადოებული ქონების მოპარვის და გაფუქრების თუ კოლექტიური მეურნეობისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების შესახებ, რასაც კოლექტიური მეურნეობის გამგეობა წარმართავს თავისი ინიციატივით ან კოლექტიური მეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილების თანახმად, უკეთუ ქმედობა ჩადენილია ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობის წევრთა მიერ ან კოლექტიური მეურნეობების წევრთა მიერ და უკეთუ, ამასთანავე, ამ ქმედობით მიყენებული ზიანი 50 მან. არ აღმატება;

გ) საქმეებისა ქონების პირველად მოპარვის შესახებ, განადგურების თუ დაზიანების შესახებ, უკეთუ მიყენებული ზიანი 50 მან. არ აღმატება;

დ) იმ საქმეებისა ქონებრივი დავის შესახებ, რაც 75 მან. თანხას არ აღმატება.

II.

იმ დადგენილების I-ლი კარის შესაბამისად სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულებაში (საქ. სსრ კან. ქრ. 1930 წ. 22 №-ი, მუხ. 318; 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 126 და მე-14 №-ი, მუხ. 165) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის პ ლიტერის „ზ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რექტაციით:

[2. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო განიხილავს შემდეგ საქმეებს: ა. სისხლის სამართლის საქმეები:....] „ზ“ ქონების პირველად მოპარვის შესახებ, განადგურების და დაზიანების შესახებ (სხვათა შორის ნათესისა, ბალისა, ვენახისა, ბოსტნისა და სხვა მისთ. საქონლის მიშვებით განზრას წახდენის შესახებ), უკეთუ მიყენებული ზიანი ორმოცდათ მანეთს არ აღმატება“.

2. მე-2 მუხლის პ ლიტერის დაემატოს „თ“ და „ი“ პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

[2. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო განიხილავს შემდეგ საქმეებს: ა. სისხლის სამართლის საქმეები:....]

”თ“ ცალკეული ღარიბი და საშუალო მეურნეობების მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დავალებათა სფეროში ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, უკეთუ, სათანადო სასოფლო საბჭოს აზრით, ამ მეურნეობების ხელმძღვანელთა მიმართ უფრო მიზანშეწონილია საზოგადოებრივი ზემოქმედების მეთოდების შეფარდება, ვიდრე მათი პასუხის გებაში მიცემა საადმინისტრაციო ან სასამართლო წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხ. თანახმად“;

„ი) კოლექტიური მეურნეობის ქონების მოპარვისა და გაფუჭების მიღების ქონებისათვის სხვა რამ ზიანის მიყენების შესახებ, უკეთუ ეს ქმედობა ჩადენილია ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობის თუ კოლექტიური მეურნეობის წევრების მიერ და უკეთუ ამ ქმედობით მიყენებული ზიანი თარმოცდაათ მანეთს არ აღმატება“.

3. მე-2 მუხლის ბ ლიტერის „ა“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[2. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო განიხილავს შემდეგ საქმეებს:.... ბ. ხამოქალაქო ხაქმეები:]

„ა) საჩიელს არა უმეტეს სამოცდახუთმეტი მანეთისა, რაც ქონებრივი უფლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს“.

4. მე-3 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[3. ამა დებულების მე-2 მუხლში გათვალისწინებული საქმეები აუცილებლად განიხილება სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოში, უკეთუ არის შემდეგი პირობები:]

„ა) ა ლიტერის „ა“, „ბ“, „გ“ და „თ“ პუნქტებში ჩამოთვლილი საქმეები, უკეთუ ამ პუნქტებით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ჩადენილია სათანადო სასოფლო საბჭოს საგამგებლო ტერიტორიაზე იმ პირის მიერ, ვინც ამავე ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობს“.

5. მე-5 მუხლს დაემატოს მესამე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ამა დებულების მე-2 მუხლის ა ლიტერის „თ“ პუნქტში ჩამოთვლილ საქმეებს სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ არსებობს სათანადო სასოფლო საბჭოს საამისო დაგენილება, ხოლო იმავე მუხლის ა ლიტერის „ი“ პუნქტში ჩამოთვლილ საქმეებს, უკეთუ ამ საქმეებს წარმართავს სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოში კოლექტიური მეურნეობის გამგეობა თავისი ინიციატივით ან კოლექტიური მეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად“.

6. მე-12 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„12. სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოში განსახილველი საქმეები, გარდა ამა დებულების მე-2 მუხლის ა ლიტერის „ა“, „ბ“, „გ“, „თ“ და „ი“ პუნქტებში ჩამოთვლილი საქმეებისა, შეიძლება დამთავრდეს მხარეთა მორიგებით, ხოლო ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო, საქმის გარემოებათა მიხედვით, სკნობს, რომ მორიგება არსებითად არღვევს საქმეში მონაწილე მშრომელის ინტერესებს, იგი გამოიტანს გადაწყვეტილების არსებითად“.

სრ. საქ. ც.ა.ქ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. პ. ალნიაშვილი.

სრ. საქ. ც. ა. ქ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ივნისის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გამ. „კომიტისტის“ 155 ს. 1932 წ. ივნისის 5.